**Information gemäß Art. 13 und 14 Verordnung (EU) 2016/679 (Datenschutz-Grundverordnung)**

## 1. Wer ist für die Verarbeitung meiner Daten verantwortlich und wer ist Datenschutzbeauftragter?

Verantwortliche für die Datenverarbeitung sind die Auslandsvertretung der Bundesrepublik Deutschland in Tiflis (Postanschrift: Botschaft der Bundesrepublik Deutschland, c/o Sheraton Metechi Palace Hotel, Telawi Str. 20, 0103 Tiflis, Georgien; E-Mail: info@tiflis.diplo.de; Telefonnummer: +995 32 244 73 00) und das Auswärtige Amt (Postanschrift: Auswärtiges Amt, D-11013 Berlin).

Den Datenschutzbeauftragten des Auswärtigen Amtes erreichen Sie wie folgt:
Werderscher Markt 1
D-10117 Berlin
Email: dsb-r@auswaertiges-amt.de
Tel.: + 49 30 5000 2711
Fax: + 49 30 5000 5 1733

## 2. Welche Daten verarbeitet die Auslandsvertretung, wenn ich ein Visum beantrage und woher stammen diese Daten?

Zu den verarbeiteten Kategorien personenbezogener Daten gehören die im Rahmen des Visumantragsformulars geforderten Daten. Dazu gehören in der Regel insbesondere Ihr Familienname, Geburtsname, Vorname, Tag und Ort mit Angabe des Staates der Geburt, Geschlecht, Staatsangehörigkeit(en), Ihr Familienstand, gegenwärtige Anschrift, Telefonnummer, Email Adresse, berufliche Tätigkeit, Angaben zum Reisedokument (Art des Dokuments, Seriennummer, ausstellender Staat und ausstellende Behörde, Ausstellungsdatum, Gültigkeitsdauer) Lichtbild sowie Fingerabdrücke.

Die oben genannten Datenkategorien stammen aus den von Ihnen im Visumverfahren gemachten Angaben.

## 3. Welche Daten verarbeitet die Auslandsvertretung, wenn ich ein Einladungsschreiben für jemanden ausstelle, der damit Visum beantragt und woher stammen diese Daten?

Zu den verarbeiteten Kategorien personenbezogener Daten gehören die im Rahmen des Visumantragsformulars zum Einlader geforderten Daten. Hierzu gehören insbesondere Ihr Name und Vorname, Adresse, Faxnummer und E-Mail-Anschrift.

Die oben genannten Datenkategorien stammen aus den von Ihnen im Einladungsschreiben und vom Antragsteller im Visumverfahren gemachten Angaben.

## 4. Warum werden meine Daten erhoben und was passiert, wenn dies nicht geschieht?

Ihre Daten werden erhoben, weil dies zur ordnungsgemäßen Durchführung des Visumverfahrens erforderlich und gesetzlich vorgeschrieben ist. Wenn Sie einen Visumantrag stellen, obliegt es Ihnen gemäß § 82 Aufenthaltsgesetz (AufenthG), die zur Bearbeitung des Antrags erforderlichen Daten zur Verfügung zu stellen und hierzu notwendige Angaben zu machen. Wenn Ihre Daten nicht bereitgestellt werden kann es sein, dass der Antrag unter Einbehaltung der Bearbeitungsgebühr abgelehnt wird.

**5. Für welche Zwecke und auf welcher Rechtsgrundlage werden meine Daten verarbeitet?**

Die Verarbeitung Ihrer personenbezogenen Daten dient ausschließlich der ordnungsgemäßen Durchführung des Visumverfahrens.

Rechtsgrundlage sind Art. 6 Abs. 1 lit. c) und e), Abs. 2 Verordnung (EU) 2016/679 (DS-GVO) i.V.m. Verordnung (EG) Nr. 767/2008 (VIS-Verordnung) und Verordnung (EG) Nr. 810/2009 (Visakodex) inklusive seinen Anhängen bzw. §§ 72a ff. (AufenthG) und § 69 Aufenthaltsverordnung (AufenthV), sowie der Ausländerzentralregistergesetz-Durchführungsverordnung (AZRG-DV), dem Visa-Warndatei-Gesetz (VWDG) und ggf. weiteren Spezialvorschriften oder § 3 Bundesdatenschutzgesetz (BDSG 2018).

**6. Wie lange werden meine Daten genutzt?**

Ihre Daten werden gelöscht, sobald sie nicht mehr für die Durchführung des Visumverfahrens erforderlich sind. In der Regel erfolgt die Löschung zwei Jahre nach Abschluss des Visumverfahrens, spätestens jedoch fünf Jahre nach der rechtskräftigen Entscheidung über das beantragte Visum.

**7. Wer bekommt meine Daten?**

Ihre Daten werden nur an Dritte übermittelt, soweit dies zur ordnungsgemäßen Durchführung des Visumverfahrens erforderlich ist. Im Rahmen des Verfahrens kann es sein, dass Ihre personenbezogenen Daten an die jeweils zuständigen deutschen Innenbehörden, an zuständige Visastellen anderer Schengen-Mitgliedstaaten oder an die zuständigen Behörden am Ort Ihres gewöhnlichen Aufenthalts übermittelt werden. Ist ein externer Dienstleister mit der Durchführung einzelner Verfahrensschritte im Visumverfahren beauftragt, werden Ihre Daten von diesem erhoben bzw. an diesen übermittelt, soweit dies zur Durchführung des Verfahrens erforderlich ist. Eine Übermittlung an Empfänger außerhalb der Europäischen Union findet nur statt, soweit dies nach Kapitel V der DS-GVO zulässig ist.

**8. Welche Datenschutzrechte kann ich als betroffene Person geltend machen?**

Sie können von den o.g. Verantwortlichen Auskunft über die zu Ihrer Person gespeicherten Daten verlangen. Sie können zudem unter bestimmten Voraussetzungen die Berichtigung, Löschung oder die Einschränkung der Verarbeitung Ihrer Daten verlangen. Sie können zudem unter bestimmten Voraussetzungen der Verarbeitung Ihrer Daten widersprechen.

**9. Wo kann ich mich beschweren?**

Sie haben das Recht, sich bei einer Datenschutzaufsichtsbehörde – insbesondere in dem Mitgliedstaat Ihres Aufenthaltsorts, Ihres Arbeitsplatzes oder des Ortes des mutmaßlichen datenschutzrechtlichen Verstoßes – über die Verarbeitung Ihrer personenbezogenen Daten zu beschweren.

**ინფორმაცია ევროკავშირის №2016/679 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების თანახმად (მონაცემთა დაცვის ძირითადი დადგენილება)**

1. **ვინ არის პასუხისმგებელი ჩემი მონაცემების დამუშავებაზე და ვინ არის რწმუნებული მონაცემთა დაცვის საკითხებში?**

   მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო თბილისში (საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ამ ბმულზე) და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო (საფოსტო მისამართი: Auswärtiges Amt, D-11013 Berlin).

   მონაცემთა დაცვის საკითხებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებულის საკონტაქტო მონაცემები:
   Werderscher Markt 1
   D-10117 Berlin
   ელ. ფოსტა: dsb-r@auswaertiges-amt.de
   ტელ.: + 49 30 5000 2711
   ფაქსი: + 49 30 5000 5 1733

2. **რა მონაცემების დამუშავება ხდება საელჩოს მიერ, როდესაც სავიზო განაცხადი შემომაქვს და საიდან აქვს მას ეს მონაცემები?**

   პერსონალურ მონაცმეთა იმ კატეგორიას, რომელიც მუშავდება, განეკუთვნება სავიზაო განაცხადის ანკეტაში მოთხოვნილი მონაცემები. როგორც წესი ესენია თქვენი გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, სქესი, მოქალაქეობა, ოჯახური მდგომარეობა, ამჟამინდელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, პროფესიული საქმიანობა, სამოგზაურო დოკუმენტის მონაცემები (დოკუმენტის სახეობა, ნომერი, გამცემი სახელმწიფო და გამცემი ორგანო, გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა), ფოტოსურათი და თითების ანაბეჭდები.

   ზემოაღნიშნულ მონაცემებს თქვენ უთითებთ სავიზო განაცხადის პროცედურის დროს.

3. **რა მონაცემების დამუშავება ხდება საელჩოს მიერ, როდესაც მე მოწვევას ვუგზავნი პირს, რომელსაც შემოაქვს სავიზო განაცხადი, და საიდან აქვს საელჩოს ეს მონაცემები?**

   პერსონალურ მონაცმეთა იმ კატეგორიას, რომელიც მუშავდება, განეკუთვნება სავიზაო განაცხადის ანკეტაში მოთხოვნილი მონაცემები მომწვევი პირის შესახებ. როგორც წესი ესენია თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, ფაქსის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი.

   ზემოაღნიშნული მონაცემები მითითებულია თქვენს მოსაწვევ წერილში და განმცხადებლის მიერ შემოტანილ სავიზო განაცხადის ანკეტაში.

4. **რატომ გროვდება ჩემი მონაცემები და რა მოხდება, თუ ეს მონაცემები არ შეგროვდება?**

   თქვენი მონაცემები გროვდება, რადგან ეს საჭიროა სავიზო პროცედურის სათანადოდ განხორციელებისათვის და ეს კანონით არის განსაზღვრული. როდესაც შემოგავთ სავიზო განაცხადი, გერმანიაში ყოფნის შესახებ კანონის 82-ე მუხლის თანახმად თქვენ უნდა წარმოადგინოთ სავიზო განაცხადის განხილვისთვის საჭირო მონაცემები. თუ თქვენი მონაცემები არ არის წარმოდგენილი, შესაძლებელია, რომ უარი გეთქვათ ვიზის გაცემაზე, რა

შემთხვევაშიც განაცხადის განხილვისთვის გადახდილი საფასური უკან აღარ დაგიბრუნდებათ.

**5. რა მიზნით და რომელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ხდება ჩემი მონაცემების დამუშავება?**

თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ და მხოლოდ სავიზო პროცედურის სათანადოდ განხორციელების მიზანით.

შესაბამისი სამართლებრივი ნორმებია: ევროკავშირის №2016/679 დადგენილების მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის, c) და e) ქვეპუნქტები, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დადგენილებები №767/2008 (სავიზო საინფორმაციო სისტემა) და №810/2009 (სავიზო კოდექსი) დანათებიურთ, ასევე ქვეყანაში ყოფნის შესახებ გერმანიის კანონის მუხლი 72a ff. და ქვეყანაში ყოფნის შესახებ დადგენილების 69-ე მუხლი, ასევე უცხოელთა ცენტრალური რეესტრის შესახებ კანონის განხორციელების დადგენილება, სავიზო გამაფრთხილებელი ფაილის შესახებ კანონი და სხვა სპეციალური წესდებები ან მონაცემთა დაცვის შესახებ გერმანიის კანონის მე-3 მუხლი.

**6. რამდენი ხნის განმავლობაში იქნება გამოყენებული ჩემი მონაცემები?**

თქვენი მონაცემები წაიშლება მაშინვე, როცა ისინი აღარ იქნება საჭირო სავიზო პროცედურის განხორციელებისთვის. როგორც წესი მონაცემები იშლება სავიზო პროცედურის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი წლისა ვიზის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

**7. ვის გადაეცემა ჩემი მონაცემები?**

თქვენი მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვეაში გადაეცემა მესამე მხარეს, თუ ეს აუცილებელია სავიზო პროცედურის სათანადოდ განხორციელებისათვის. სავიზო პროცედურის ფარგლებში შესაძლებელია, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები გადაეცეს გერმანიის შესაბამის შიდა უწყებებს, შენგენის წევრი სხვა ქვეყნების შესაბამის სავიზო განყოფილებებს ან ადგილობრივ უწყებებს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სავიზო პროცედურის განხორციელება დავალებული აქვს გარე ორგანიზაცია, მაშინ ის აგროვებს მონაცემებს ან მას გადაეცემა მონაცემები, თუ ეს მონაცემები საჭიროა სავიზო პროცედურის განხორციელებისთვის. მონაცემთა გადაცემა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის ძირითადი დადგენილების მე-5 თავი.

**8. მონაცემთა დაცვის კუთხით რა უფლებები შემიძლია გამოვიყენო?**

თქვენ შეგიძლიათ ზემოხსენებულ პასუხისმგებელ პირებს მოსთხოვოთ ინფორმაცია თქვენ შესახებ შენახულ მონაცემებთან დაკავშირებით. გარკვეული წინაპირობების დაცვით თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი მონაცემების შესწორება, წაშლა ან შეზღუდვა. ასევე შეგიძლიათ გაასაჩივროთ მონაცემთა დამუშავება გარკვეული წინაპირობების დაცვით.

**9. სად შემიძლია გასაჩივრება?**

თქვენ გაქვთ უფლება, გაასაჩივროთ თქვენი მონაცემების დამუშავება რწმუნებულთან მონაცემთა დაცვის საკითხებში - განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოში, სადაც თქვენ იმყოფებით ან მუშაობთ, ან სადაც მოხდა მონაცმეთა დაცვის ნორმების სავარაუდო დარღვევა.